

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №193

2010 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (სსმ I, 2010 წელი, №35, მუხლი 213) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების მიზნით, განისაზღვროს გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, ამ წყაროების მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრეები და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდები:

გარანტირებული სიმძლავრის წყაროები (წარმოების ლიცენზიანტები)	თბოელექტროსადგურის დასახელება	გარანტირებული სიმძლავრე (მგტ-ში)	გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდი
1. შპს „მტკვარი ენერჯი“	გარდაბნის თბოელექტროსადგური, №9 ენერგობლოკი	180	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე
2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“	გარდაბნის თბოელექტროსადგური №3 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე
	გარდაბნის თბოელექტროსადგური №4 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე
3. შპს „ჯიფაური“	აირტურბინული ელექტროსადგური	80	2010 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 მარტამდე 2012 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 თებერვლამდე და 2016 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე
		65	2011 წლის 1 მარტიდან 2012 წლის 1 აპრილამდე და 2014 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 1 აპრილამდე
4. შპს „გარდაბნის თბოსადგური“	აირტურბინული ელექტროსადგური	162	2015 წლის 1 ნოემბრიდან 2040 წლის 1 ნოემბრამდე

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №362-სსმIII, №157, 01.12.2010წ., მუხ.225
 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის დადგენილება №110 - ვებგვერდი, 07.03.2011წ.
 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის დადგენილება №262 – ვებგვერდი, 07.07.2011წ.
 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №282 - ვებგვერდი, 22.07.2011წ.
 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 სექტემბრის დადგენილება №348– ვებგვერდი, 15.09.2011წ.
 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №424 - ვებგვერდი, 14.11.2011წ
 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის დადგენილება №253 - ვებგვერდი, 13.07.2012წ.
 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №372 – ვებგვერდი, 26.12.2013წ.
 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის დადგენილება №307 – ვებგვერდი, 24.04.2014წ.
 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის დადგენილება №118 – ვებგვერდი, 23.03.2015წ.
 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის დადგენილება №475 - ვებგვერდი, 16.09.2015წ.
 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №496 - ვებგვერდი, 25.09.2015წ.
 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №541 - ვებგვერდი, 27.10.2015წ.



მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

